დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ირმა მანჯავიძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

დავით ტეფნაძე, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

ლარისა პატარაია, კავკასიის უნივერსიტეტი

თბილისი
2020

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)
სახე	კოლეჯი
საიდენტიფიკაციო კოდი	204379083
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ქსნის ქ., N35
ვებ-გვერდი	www.nu.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	-
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	-
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	-

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	11
ბაკალავრიატი	11
მაგისტრატურა	0
ერთსაფეხურიანი	0
დოქტორანტურა	0
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	0
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	პროგრამას ინსტიტუცია ახორციელებს
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	3
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	0
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	0
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	0

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	371	1317	
ბაკალავრიატი	320	1317	
მაგისტრატურა	0		
ერთსაფეხურიანი	0		
დოქტორანტურა	0		
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	0		
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	51	0	
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	76	1186	

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3^{48} პუნქტში

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	0	0	

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	
- პროფესორი	27
- ასოცირებული პროფესორი	69
- ასისტენტ პროფესორი	35
- ასისტენტი	33
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	
- მეცნიერი	0
- პოსტდოქტორანტი	0
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	
- აფილირებული პროფესორი	15
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	19
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	**7**
- აფილირებული ასისტენტი	13
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	0
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	0
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	83
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	18

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	-
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	-
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	-

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 21 ივლისის # MES 2 20 0000619775 ბრძანების შესაბამისად, შპს მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2020 წლის 14 ივლისის წერილებით (ცენტრში რეგისტრაციის No599791; No599758) წარმოდგენილი დოკუმენტაციის, 2020 წლის 01 ივნისს ცენტრში წარმოდგენილი განცხადებისა (ცენტრში რეგისტრაციის No419844) და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს, 2020 წლის 26 აპრილის MES 7 20 00348029 სხდომის ოქმში ასახული გარემოებების შეფასების მიზნით შპს მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 30 და 31 ივლისს.

ვიზიტი განხორციელდა დღის წესრიგის მიხედვით ჰიბრიდულ რეჟიმში, შედგა შეხვედრები ინსტიტუციის ადმინისტრაციასთან, ცალკეული სამსახურების წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან და სტუდენტებთან, ასევე მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

ვიზიტის მიმდინარეობისას ჯგუფის მოთხოვნით ინსტიტუციამ დამატებით წარმოადგინა მარეგულირებელი დოკუმენტები, სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები, ასევე გადამოწმდა სტუდენტთა რეესტრი, სტუდენტების სტატუსის შეჩერების ბრძანებები რეესტრში და ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალში, ასევე ცენტრში შემოსული წერილის საფუძველზე ჩატარდა ინტერვიუები უცხოელ სტუდენტებთან ჰიბრიდულ რეჟიმში.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შემდეგნაირად შეფასდა: სტანდარტის კომპონენტი 2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია, სტანდარტის კომპონენტი 2.2 შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - ნაწილობრივ შესაბამისობაშია, სტანდარტის კომპონენტი 3.3 სწავლის შედეგების შეფასება - ნაწილობრივ შესაბამისობაშია, სტანდარტის კომპონენტი 5.1 სტუდენტები და სტუდენტთა უფლებები - ნაწილობრივ შესაბამისობაშია, სტანდარტის კომპონენტი 5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: 2020 წლის 14 და 15 იანვარი

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
2.1. აუცილებელია, დაზუსტდეს უსდ-ს სახელწოდება, რათა დაზუსტდეს უსდ საგანმანათლებლო დაწესებულების რომელ სახეს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ უსდ-ს სახელწოდება არ იყოს დამაბნეველი;	**ნაწილობრივ შესრულებულია** - ვებ გვერდზე შეცვლილია უსდ-ს სახელი „მილენიუმ უმაღლესი სასწავლებელი"; პარტნიორთა კრების ოქმი არსებობს სახელის ცვლილებაზე; სოციალურ ქსელში უსდ პოზიციონირებს, როგორც „მილენიუმ უნივერსიტეტი" სამეწარმეო რეესტრში ცვლილება სახელწოდებასთან დაკავშირებით არ არის რეგისტრირებული.
აუცილებელია, უსდ-ს საქმისწარმოების სამსახურში საქმისწარმოების პროცესების გამართვა და მონიტორინგის მექანიზმის შემოღება, რათა უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დროულად და ზუსტად აისახოს უსდ-ს ინფორმაცია, მაგ. აქტიური სტატუსისა და სტატუსშეჩერებული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია;	**ნაწილობრივ შესრულებულია** - შექმნილია დოკუმენტები საქმისწარმოების პროცესების გამართვის ხელშეწყობის მიზნით, თუმცა ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა, რომ საქმისწარმოების წესი ირღვევა, ბაზაში დროულად არ იყო ასახული ინფორმაცია; QMS ბაზაში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებით ინფორმაცია არ იყო სწორი. ამ ეტაპზე უნივერსიტეტს შესაბამისი მონიტორინგის მექანიზმი არ აქვს, რაც ხელს უშლის საქმისწარმოების გამართულად მუშაობას.
2.2. აუცილებელია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ეფექტური მექანიზმებით უზრუნველყოს დაწესებულების ყველა სტრუქტურული ერთეულის და აკადემიური/მოწვეული პერსონალის უფრო აქტიურად ჩართვა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში, ხარისხის კულტურის გასავითარებლად;	**ნაწილობრივ შესრულებულია** - ამ პროცესის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია ფოკუს ჯგუფებში ინტერვიუების ჩატარება; არსებითი ცვლილებები არ არის განხორციელებული; უსდ-ს შემუშავებული აქვს სხვადასხვა დოკუმენტი, რომლის ამუშავების შემთხვევაშიც წესით უნდა გაუმჯობესდეს პროცესი, თუმცა ინტერვიუებიდან გამოვლინდა, რომ ეს რეკომენდაცია არ არის შესრულებული.
აუცილებელია სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული შეფასების ფორმების ზედმიწევნით შესაბამისობაში მოყვანა რეალურ საგამოცდო პროცესთან;	**შესრულებულია** - სწავლების ელექტრონულ ფორმაზე გადასვლის შემდეგ, მიმდინარე პანდემიით გამოწვეული ცვლილებების გამო შეიცვალა შეფასების ფორმები - შუალედური შეფასება 40, ფინალური - 60 ქულა. შესაბამისად მოდიფიცირდა დავალებების, შუალედური და ფინალური გამოცდის სირთულე. რაც დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ და ადგილზე ნანახ დავალებებში.
აუცილებელია სტუდენტური გამოკითხვების სტიმულირება და გააქტიურება (გამოკითხვა ელექტრონულად მიმდინარეობს), რათა	**ნაწილობრივ შესრულებულია** - როგორც ინტერვიუებიდან გამოჩნდა, ამ პროცესის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია ფოკუს

სტუდენტების მთელი კონტინგენტი ჩართული იყოს პროცესში;	ჯგუფებში ინტერვიუების ჩატარება; თუმცა რეალური ცვლილებები არ არის სახეზე.
აუცილებელია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერმანენტულ რეჟიმში ამოწმებდეს სასწავლო კურსებში მითითებულ საკონტაქტო ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში ოპერატიულად აახლებდეს მას;	**ნაწილობრივ შესრულებულია** - სილაბუსებში არ არის განახლებული ინფორმაცია; რიგ შემთხვევებში საგანს კითხულობს სხვა ადამიანი, ხოლო სილაბუსში მითითებული ავტორი სხვა არის; ზოგიერთ შემთხვევაში სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურა არის რუსულ ენაზე, თუმცა აღნიშნულ სასწავლო კურსებს არ გააჩნია შესაბამისი წინაპირობა.
3.3 დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის ადეკვატური შეფასება თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;	**ნაწილობრივ შესრულებულია** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსხურმა ფაკულტეტის დეკანთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად გადახედა სასწავლო პროგრამებს და მოახდინა სათანადო რეაგირება. პრაქტიკული შედეგები , ჩვენი ვიზიტის დროს ჯერ ვერ იქნა შეფასებული, ვიანიდან ა.წ.14 ივლისს ჩატარდა ხარისხის სამსხურის მიერ ორგანიზებული შეხვედრა ფაკულტეტის დეკანთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან. შემუშავებული იქნა რეკომენდაციები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, რომელიც დეტალურად არის აღწერილი 3.3. ქვესტანდარტში.
დაწესებულებამ უნდა დაიცვას თავის მიერ შემუშავებული და დაინტერესებული მხარეების მიერ გაზიარებული შეფასების პროცედურები (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, გამოცდების ჩატარების წესი, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული შეფასების კომპონენტები და ფორმები);	**შესრულებულია** - უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დაგეგმვა მიმდინარეობს „სასწავლო პროცესიის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად. განსაზღვრულია სასწავლო კომპონენტები და ქულათა განაწილება როგორც ჩვეულებრივი სასწავლო პროცესის, ასევე დისტანციური სწავლების დროს. (ეს უკანასკნელი დარეგულირებულია ცალკე დოკუმენტით „გამოცდის ჩატარების ინსტრუქცია“). მარეგულირებელი დოკუმენტის შესახებ ინფორმაციას ფლობდა, როგორც პერსონალი ასევე სტუდენტები.
შეფასებისა და აპელაციის წესები უნდა იყოს ქმედითი და გამოყენებადი;	**შესრულებულია** - “სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით” განისაზღვრება გასაჩივრების პროცედურებიც. შუალედური/დასკვნითი ძირითადი და დამატებით გამოცდების შედეგების აპელაციის მიზნით, რექტორის აქტით მტკიცდება მუდმივმოქმედი სააპელაციო კომისია.

	ხოლო „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციაში“ მუხლი 6. საგამოცდო ნაშრომის გაცნობა და გასაჩივრება- ჩამოყალიბებულია გასაჩივრების პროცედურები. აღნიშნული წესის შესახებ სტუდენტები ფლობდნენ ინფორმაციას, თუმცა მათ ეს პროცედურა არ გამოუყენებიათ. დეკანმა და ინფორმაციული მართვის ხელმძღვანელმა აღნიშნა ორი შემთხვევა, როცა ტექნიკური მიზეზის გამო აპელაცია დაკმაყოფილდა. (ქულა არასწორად იყო შეტანილი სტუდენტთა შეფასების სიტემაში).
სასწავლო კურსის სილაბუსები უნდა იყოს შემუშავებული მათი განმახორციელებლების მიერ და მითითებული რეკვიზიტები უნდა აძლევდნენ სტუდენტებს უკუკავშირის შესაძლებლობას;	**არ არის შესრულებული** - სასწავლო კურსების სილაბუსები კიდევ ერთხელ გადახედვას მოითხოვს. საერთაშორისო ბიზნესის სილაბუსის შემოწმების დროს გამოვლინდა, რომ სასწავლო კურსში მითითებული ლექტორის სახელი და გვარი არ ემთხვეოდა რეალურად განმახორციელებელ პირს.
ხარისხის სამსახურის ფუნქცია შეფასებებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით შეფასების სილაბუსის მოთხოვნებთან შესაბამისობის ასპექტით, უნდა იყოს ქმედითი და არა ფორმალური;	**ნაწილობრივ შესრულებულია** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაატარა ღონისძიებები, თუმცა შედეგები ჯერ ვერ იქნა შეფასებული. ასევე ვერ იქნა შეფასებული ქმედითობის საკითხი მონიტორინგისთვის დადგენილი 60 დღიანი პერიოდის განმავლობაში, ამასთან აღნიშნული პერიოდი დაემთხვა პანდემიის პერიოდს და სწავლება დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა. მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის სამსახური თავის მუშაობაში ითვალისწინებს PDCA პრინციპს და პირველი მონიტორინგიდან მხოლოდ 6 თვის შემდეგ გახდა შესაძლებელი დაეგეგმათ ცვლილებები.
გამოცდის შედეგები მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, გონივრული ვადით, უნდა იყოს შენახული.	**ნაწილობრივ შესრულებულია** - წინა მონიტორინგის რეკომენდაციების შესაბამისად უსდ-ს მიერ შემუშავებულ “გამოცდების ჩატარების ინსტრუქციაში განხორციელდა შესაბამისი ცვლილება , მეხუთე მუხლში” საგამოცდო ნაშრომის გასწორება” - დაემატა მეორე პუნქტი “ფაკულტეტი ვალდებულია საგამოცდო ნაშრომები შეინახოს 3 წლის ვადით”. თუმცა ვიზიტის დროისათვის ადგილზე ვერ იქნა ნანახი სტუდენტთა ნაშრომები ქართულ ენაში, ვინაიდან გამოცდის ჩატარების ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანამდე

	ნაშრომებს არ ინახავდნენ, ხოლო, როგორც ინტერვუებიდან გაირკვა, შემდგომ პერიოდში წერილობითი ნაშრომები სტუდენტებს არ შეუსრულებიათ. დამატებით მოწოდებული იქნა მხოლოდ ქართულ ენაში ტესტების ნიმუშები. დამატებით ინსტიტუციის მიერ მოწოდებული იქნა 11 დასკანერებულია ნაშრომი, ნაწილი იყო ტესტური, ***ნაბეჭდი ფორმით*** , ზოგი ნაშრომი იყო ***ხელნაწერი კითხვა პასუხებით*** , ბოლოს სტუდენტის ხელმოწერით. წარმოდგენილი იქნა ***პრეზენტაციები:*** კომუნიკაციის უნარებსა და კომპიუტერულ უნარებში. ***ორი ვიდეო*** ოპერატორის ხელოვნებასა და მეტყველებაში.
5.1. განახლდეს სასწავლო დაწესებულების ვებ-გვერდი და მასზე განთავსდეს „მილენიუმი სასწავლო უნივერსიტეტის“ მარეგულირებელი დოკუმენტები;	**ნაწილობრივ შესრულებულია** - განახლებულია ვებ-გვერდი, შესწორებულია ინსტიტუციის სახელწოდებაც, მაგრამ ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ნაწილი არ არის დასრულებული.
მიეცეთ სტუდენტებს საშუალება გადაიხადონ სწავლის საფასური კრედიტების/საგნების შესაბამისად;	**არ არის შესრულებული**
ქართულ ენოვან პროგრამებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის დაწესდეს ქართული ენის კომპეტენციის შესამოწმებელი გამოცდა	**არ არის შესრულებული**
5.2. სტუდენტური თვითმმართველობა უნდა იყოს უფრო მეტად აქტიური და ცნობადი უსდ-ში;	**შესრულებულია**
უსდ-ში უნდ არსებობდეს კარიერული წინსვლისა და დასაქმების სამსახური;	**შესრულებულია**
უსდ-მ უნდა უზრუნველყოს სტუდენტების დასაქმების სტატისტიკური მონაცემების მოპოვება და დამუშავება.	**ნაწილობრივ შესრულებულია** - მიმდინარეობს მონაცემების მოპოვება და დამუშავება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

- განახლდეს და რეალობასთან შესაბამისობაში მოვიდეს შრომითი ხელშეკრულებები;
- დაზუსტდეს აკადემიური პერსონალის ბაზა;
- ინფორმაცია მიეწოდოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შრომითი თანამშრომლობის ფორმის შესახებ;
- სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურა უნდა იყოს იმ ენაზე, რა ენაზეც არის პროგრამა;

- სილაბუსებში საკონტაქტო ინფორმაცია არ ემთხვევა იმას, თუ რეალურად ვინ კითხულობს ამ საგანს და შესაბამისად რეკომენდირებულია გასწორდეს საკონტაქტო ინფორმაცია.
- უზრუნველყონ ხარისხის გაუმჯობესების შიდა მექანიზმების დანერგვა PDCA ციკლის ყველა ეტაპზე ანგარიშების მომზადების და პერიოდული განხილვის გზით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან შეხვედრების გზით;
- დაიხვეწოს და გაფართოვდეს სასწავლო პროგრამების მიხედვით საგამოცდო ტესტები;
- სასწავლო კურსის სილაბუსები უნდა იყოს შემუშავებული მათი განმახორციელებლების მიერ და მითითებული რეკვიზიტები უნდა აძლევდნენ სტუდენტებს უკუკავშირის შესაძლებლობას;
- „ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში „ მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბდეს ქულათა განაწილების წესი სტუდენტის საბოლოო (100 ქულით) შეფასებისას ;
- უზრუნველყოფილი იქნეს სტუდენტებისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება სწავლის შედეგების შეფასების ყველა მეთოდის შესახებ სასწავლო კურსის დაწყებისთანავე;
- **გამოცდის შედეგები მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, გონივრული ვადით, უნდა იყოს შენახული;**
- დაწესებულებამ გამჭირვალე გახადოს ქართული ენის აკრედიტებულ პროგრამაზე ჩარიცხვის, სტუდენტის სტატუსის და სტუდენტთა სწავლის შედეგების მონიტორინგი.
- დაიხვეწოს და შესაბამისობაში მოვიდეს ვებ-გვერდი ორივე ენაზე.
- მიეცეთ სტუდენტებს საშუალება გადაიხადონ სწავლის საფასური კრედიტების/საგნების შესაბამისად;
- ქართულ ენოვან პროგრამებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის დაწესდეს ქართული ენის კომპეტენციის შესამოწმებელი გამოცდა
- უცხოენოვან პროგრამებზე დაწესდეს შესაბამისი ენის კომპეტენციის შესამოწმებელი გამოცდა
- რეგულარულად მოხდეს კურსდამთავრებულთა ბაზის სრულყოფა და მონაცემების ანალიზი

რჩევები

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☒	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☐	☒	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☒	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☐	☒	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. გოდერძი ბუჩაშვილი (თავმჯდომარე)

2. ირმა მანჯავიძე (წევრი)

3. დავით ტეფნაძე (წევრი)

4. ლარისა პატარაია (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **მონიტორინგის დასკვნაში წარმოდგენილია რეკომენდაცია: „აუცილებელია, დაზუსტდეს უსდ-ს სახელწოდება, რათა დაზუსტდეს უსდ საგანმანათლებლო დაწესებულების რომელ სახეს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ უსდ-ს სახელწოდება არ იყოს დამაბნეველი“** უსდ-ს დაწყებული აქვს სახელის ცვლილების პროცედურა. შეცვლილია სახელი მათ ვებ გვერდზე, როგორც " უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმი". თუმცა, ამონაწერში სამეწარმეო რეესტრიდან სახელის ცვლილება არ ფიქსირდება. ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა წარმოადგინა იუსტიციის სახლში ჩანიშნული შეხვედრის სქრინი. აღნიშნული სქრინიდან არ დასტურდება ვიზიტის მიზეზი. აღსანიშნავია, რომ სოციალურ ქსელში უსდ პოზიციონირებს როგორც "მილენიუმ უნივერსიტეტი". აღსანიშნავია, რომ პარტნიორთა საერთო კრების ოქმი

უნივერსიტეტის სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით თარიღდება 2020 წლის 3 აპრილით, ხოლო იუსტიციის სახლში ვიზიტის ჩანიშვნა განხორციელდა 2020 წლის 3 აგვისტოს.

ახალი დამტკიცებული ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით უსდ-ს აქვს ორი ტიპის მართვის ორგანო: დამფუძნებელთა კრება და აკადემიური საბჭო. უსდ-ს მართავს რექტორი, რომელიც ამავდროულად მიმდინარე რეჟიმში წარმოადგენს აკადემიურ საბჭოს. აკადემიური საბჭო უსდ-ში შემუშავებული დებულების მიხედვით უნდა შედგებოდეს 5 წევრისგან. საიდანაც 1 ადგილი უპირობოდ აქვს რექტორს, ხოლო დანარჩენი 4 ადგილს დაიკავებს არჩევის საფუძველზე სამი აკადემიური პერსონალი და ერთი სტუდენტი. აღსანიშნავია, რომ განხორციელებული დაგეგმილი ცვლილებების შესახებ რიგ თანამშრომლებს არ აქვთ ინფორმაცია. როგორც ინტერვიუებიდან გაირკვა, აკადემიური საბჭოს რეალურად ჩამოყალიბება დამოკიდებული იქნება უნივერსიტეტის ზრდაზე. თუ გაიზრდება უნივერსიტეტი, მაშინ მოხდება აკადემიური საბჭოს ფორმირება. ვციტირებთ ერთ-ერთ მმართველ პოზიციაზე მყოფ რესპონდენტს: " აკადემიური საბჭო მოცულობითი გახდება თუ გაიზრდება უნივერსიტეტი. ახლა ეს მხოლოდ მსჯელობის საკითხია და არ დგას ამ ეტაპზე დღის წესრიგში". თუმცა ინტერვიუს დროს, მოვისმინეთ, რომ ეს პროცესი სექტემბერში აუცილებლად დასრულდება და რეალურად იმ ფორმით ჩამოყალიბდება აკადემიური საბჭო, როგორც დებულებით არის გაწერილი. აღსანიშნავია, რომ აკადემიური საბჭო თავის არსში წარმოადგენს კოლეგიალურ ორგანოს, სადაც შეთანხმების საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილებები, შესაბამისად ჩვენი აზრით, აკადემიური საბჭოს არსებობა იმ მოცემულობით, როცა მხოლოდ რექტორი წარმოადგენდეს მას, არ არის მიზანშეწონილი და უკარგავს არსს. აღსანიშნავია, რომ ბიზნეს მისიის კორექტირების და პროცესების გაუმჯობესების მიზნით, ორგანიზაციულ სტრუქტურაში განხორციელდა რიგი ცვლილებები: გაუქმდა საგამოცდო ცენტრი, დაინიშნა ვიცე რექტორი, რომელსაც ექვემდებარება ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი, სასწავლო პროცესების სამსახური და ბიბლიოთეკა. აკადემიურ საბჭოს ექვემდებარება ცენტრალიზებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხოლო ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დანარჩენი სამსახურები, რომლებსაც აქვთ დამხარე ფუნქცია, რათა უსდ-მ გამართულად შეძლოს თავის ძირითადი დანიშნულების შესრულება. აღნიშნულს გავლენა უნდა მოეხდინა საქმისწარმოების პროცესების გამართვაში.

მონიტორინგის დასკვნაში წარმოდგენილია რეკომენდაცია: „აუცილებელია, უსდ-ს საქმისწარმოების სამსახურში საქმისწარმოების პროცესების გამართვა და მონიტორინგის მექანიზმის შემოღება, რათა უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დროულად და ზუსტად აისახოს უსდ-ს ინფორმაცია, მაგ. აქტიური სტატუსისა და სტატუსშეჩერებული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია“

აღსანიშნავია, რომ უსდ-ში დაწყებულია ბიზნეს პროცესებთან დაკავშირებული ცვლილებები და დაგეგმვის დონეზე განხორციელებულია რიგი ცვლილებები, მაგრამ ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ ჯერ ისევ ხარვეზებით მუშაობს ზოგიერთი სამსხური. მაგალითად, საქმისწარმოების წესის მიხედვით, ყველა ბრძანება და ცვლილება ბაზაში უნდა აისახოს არაუგვიანეს მეორე დღეს. ვიზიტის დროს გადამოწმებისას გამოვლინდა, რომ კანცელარიის მიერ წარმოებულ სტუდენტთა ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალში ბოლო ცვლილება არ იყო რეგისტრირებული. ამ ეტაპზე

უნივერსიტეტს შესაბამისი ეფექტური მონიტორინგის მექანიზმი არ აქვს, რაც ხელს უშლის საქმისწარმოების გამართულად მუშაობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● საქმის წარმოების წესი; ● უნივერსიტეტის ვებ გვერდი; ● შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის სტრუქტურა; ● შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის მისია; ● ინტერვიუს შედეგები; ● მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა, მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების მექანიზმები;
რეკომენდაციები: ● რეკომენდირებულია ყველა ჩართულ და დაინტერესებულ მხარეს ჰქონდეს ერთნაირი და რელევანტური ინფორმაცია უნივერსიტეტის ძირითადი გადაწყვეტილებების შესახებ; ● რეკომენდირებულია, დროულად მოხდეს უსდ-ს სახელის ოფიციალური ცვლილება; ● რეკომენდირებულია შემუშავდეს საქმისწარმოების მონიტორინგის მექანიზმი, რათა დროულად მოხდეს ბაზაში ბრძანებების და ცვლილებების ასახვა;
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
○ უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. ○ უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **მონიტორინგის დასკვნაში წარმოდგენილია რეკომენდაცია: „აუცილებელია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ეფექტური მექანიზმებით უზრუნველყოს დაწესებულების ყველა**

სტრუქტურული ერთეულის და აკადემიური/მოწვეული პერსონალის უფრო აქტიურად ჩართვა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში, ხარისხის კულტურის გასავითარებლად“

უსდ-ში ფუნქციონირებს ცენტრალიზებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ექვემდებარება აკადემიურ საბჭოს და რექტორს. ხარისხის სამსახური ჩართულია პროგრამების შემუშავების პროცესში, ახდენს სტუდენტების, ლექტორების და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი ფუნქციაა კოორდინირება გაუწიოს პროგრამების აკრედიტაციისთვის მომზადების პროცესს, ჩართოს დაინტერესებული მხარეები და აკონტროლოს აკადემიური პერსონალის მონაწილეობის მაღალი ხარისხი ამ პროცესში. უსდ-ს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, სადაც 18 მსხვილი ფუნქციაა ჩამოთვლილი. ასევე, არსებობს 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც 33 მუხლისგან შედგება და ძალიან მოცულობითია. უსდ-ში დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა. დოკუმენტი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის PDCA ციკლით მოქმედებას.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვხვდებით სხვადასხვა წელს ჩატარებულ სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალის და ადმინისტრაციის კმაყოფილების შეფასებისთვის განკუთვნილ კვლევებს. წარმოდგენილია დოკუმენტაცია, სადაც მოცემულია როგორც ნედლი ინფორმაცია, ასევე შედეგები და კვლევის შედეგების ანალიზი (მაგალითად პროგრამების განვითარებისთვის).

აღსანიშნავია, რომ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული რიგი სილაბუსების ავტორები განსხვავდება რეალურად იმ პერსონალისგან, ვინც უძღვება კურსს. მონიტორინგის პროცესში გადამოწმებული QMS ბაზაში დაფიქსირებული უსდ-ს აკადემიური პერსონალი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რეალურად არ წარმოადგენენ უსდ-ს აკადემიურ პერსონალს. ინტერვიუებიდან გაირკვა, რომ პროფესორები არიან გაურკვევლ მდგომარეობაში, არ ფლობენ ინფორმაციას მათი მიმდინარე სტატუსის შესახებ და უარყოფდნენ უსდ-სთან აკადემიურ პოზიციაზე ყოფნას. აღნიშნული ადასტურებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფისა და კულტურის ჩამოყალიბების მიმართულებით კვლავ შესასრულებელია რეკომენდაცია.

რიგ შემთხვევებში წარმოდგენილი იყო ხელშეკრულებები, რომლებიც აღარ არის მოქმედი. მოწვეულ პერსონალთან, რომელიც ფიქსირდება QMS ბაზაში, არ არის შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული და ზოგ მათგანს ჯერ არც ქონია უნივერსიტეტთან აქტიური თანამშრომლობის და ლექციების ჩატარების გამოცდილება. ჩვენს მიერ ჩატარებულ ინტერვიუზე, სადაც 6 აკადემიური პერსონალი უნდა ყოფილიყო, მხოლოდ ორი ადამიანი აღმოჩნდა უსდ-ს აკადემიური პერსონალი, დანარჩენი მათგანი მოწვეული ლექტორი იყო.

აღსანიშნავია, სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში გამოვლენილი უზუსტობები. ერთ-ერთი სტუდენტი, რომელიც ირიცხება ქართულენოვან პროგრამაზე ამტკიცებდა, რომ სწავლობდა ინგლისურ ენაზე ინგლისურენოვან პროგრამაზე.

საყურადღებოა, უსდ-ს მიმდინარე გამოწვევები, რომელიც ძირითადად უკავშირდება მეორე უნივერისტეტთან შერწყმის პროცესს. ექსპერტთა აზრით, ამ მოვლენამ არია და გაართულა პროცესები ინსტიტუციაში. კერძოდ, გაუმართავია კომუნიკაციის პროცესი ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალთან, მობილობით გადმოსულ სტუდენტებს ერთი სასწავლო სემესტრის განმავლობაში მოუწიათ სწავლის საფასურის გადახდა, მიუხედავად იმისა , რომ მათი ქართული ენის ცოდნის დონე არ იყო დამაკმაყოფილებელი და ცხადი იყო, რომ ისინი სწავლას ვერ შეძლებდნენ.

მონიტორინგის დასკვნაში წარმოდგენილია რეკომენდაცია: „აუცილებელია სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული შეფასების ფორმების ზედმიწევნით შესაბამისობაში მოყვანა რეალურ

საგამოცდო პროცესთან“ - ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე უსდ გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე და მიმდინარე სემესტრში შეიცვალა შეფასების ფორმები და სისტემა (ნაცვლად 60-40, გადავიდა 40-60) შეფასების ფორმაზე. აღინიშნა, რომ ძირითადად გამოიყენებოდა წერითი გამოკითხვა (მეილზე იგზავნებოდა საგამოცდო ბილეთი და სტუდენტი უკან აბრუნებდა დასრულებულ ვარიანტს) და ზეპირი გამოკითხვა Zoom პლატფორმის გამოყენებით. შეფასების ფორმების გათვალისწინებით მოხდა საგამოცდო მასალის და დავალებების მოდიფიცირება და ჩვენი შეფასებით აღნიშნული ცვლილებები იყო ადეკვატური.

მონიტორინგის დასკვნაში წარმოდგენილია რეკომენდაცია: „აუცილებელია სტუდენტური გამოკითხვების სტიმულირება და გააქტიურება (გამოკითხვა ელექტრონულად მიმდინარეობს), რათა სტუდენტების მთელი კონტინგენტი ჩართული იყოს პროცესში“ სტუდენტების გამოკითხვების სტიმულირებისა და გააქტიურების მიზნით უსდ-ს დაგეგმილი აქვს კვლევების ჩატარება ფოკუს ჯგუფებში. სტუდენტებს ასევე ეგზავნებათ კითხვარები ელექტრონულად. თუმცა, ამ მიმართულებით რიგი ცვლილებებია განსახორციელებელი და ვერ მოხერხდა რეალურად შეფასება, რადგან ამ ეტაპზე მხოლოდ გეგმები იყო წარმოდგენილი.

მონიტორინგის დასკვნაში წარმოდგენილია რეკომენდაცია: „აუცილებელია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერმანენტულ რეჟიმში ამოწმებდეს სასწავლო კურსებში მითითებულ საკონტაქტო ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში ოპერატიულად აახლებდეს მას“ საერთაშორისო ბიზნესის სილაბუსის შემოწმების დროს გამოვლინდა, რომ სასწავლო კურსში მითითებული ლექტორის სახელი და გვარი არ ემთხვეოდა კურსის რეალურად განმახორციელებელი პირის სახელსა და გვარს. ასევე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული გარემოება განაპირობაიმ ფაქტმა, რომ სილაბუსები შექმნილია ყოფილ შპს ქართულ-ევროპულ უმაღლეს სასწავლებელში, რომელიც შეუერთდა ყოფილ შპს ნიუ უნივერსითის (ამჟამად, მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტს), ხოლო მილენიუმში შეიცვალა კურსების განმახორციელებელი პერსონალი, სილაბუსების შინაარსი კი დარჩა იგივე. აღნიშნული ეჭვქვეშ აყენებს აკადემიური ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას ინსტიტუციაში. ჩვენს მიერ გამოთხოვილი სილაბუსებიდან (მაგ: ზოგადი ეკოლოგია ძირითადი ლიტერატურა მითითებულია რუსულენოვანი სახელმძღვანელო შესაბამისი წინაპირობის მითითების გარეშე). ასევე ეჭვქვეშ დგება „ Human rights and Democracy“ საგნის შესაბამისობა ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამასთან, ისევე როგორც ზოგადი ეკოლოგიის კურსი.

შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გაძლიერდეს რესურსების მობილიზება, რათა ზემოთაღნიშნული გარემოებები თავიდან იქნას აცილებული და გამოსწორებული შიდა ხარისხის ეფექტური მუშაობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამოქმედო გეგმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა
- შრომითი ხელშეკრულებები;
- სტუდენტების რეესტრი;

რეკომენდაციები:

- განახლდეს და რეალობასთან შესაბამისობაში მოვიდეს შრომითი ხელშეკრულებები;

- დაზუსტდეს აკადემიური პერსონალის ბაზა;
- ინფორმაცია მიეწოდოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შრომითი თანამშრომლობის ფორმის შესახებ;
- სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურა უნდა იყოს იმ ენაზე, რა ენაზეც არის პროგრამა;
- სილაბუსებში საკონტაქტო ინფორმაცია არ ემთხვევა იმას, თუ რეალურად ვინ კითხულობს ამ საგანს და შესაბამისად რეკომენდირებულია გასწორდეს საკონტაქტო ინფორმაცია.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად, დაწესებულებას უნდა უზრუნველეყო სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის ადეკვატური შეფასება თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ფაკულტეტის დეკანთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად გადახედა სასწავლო პროგრამებს და მოახდინა სათანადო რეაგირება წინა მონიტორინგიდან დაახლოებით 6 თვის შემდეგ, ამასთან აღნიშნული პერიოდი დაემთხვა პანდემიის პერიოდს და სწავლის პროცესის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლას.

2020 წლის 14 ივლისს უსდ-მ ჩაატარა შეხვედრა, რომლის დღის წესრიგს წარმოადგენდა საკითხები: 1. შპს უმაღლესი სასწავლებლის მილენიუმის ელექტრონული სწავლების მონიტორინგი და ელექტრონულ სწავლებაში ჩართულ პედაგოგთა გამოკითხვის შედეგების გაცნობა; 2. რეკომენდაციები საგამოცდო საკითხების თემატიკისა და სილაბუსების შედარების შესახებ. სხდომაზე განხილული საკითების შესახებ დგინდება, რომ რექტორის მრჩეველმა

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში დააყენა საკითხი, რომ სწავლის შედეგების შემოწმებისათვის საჭიროა შინაარსობრივი მხარის შემოწმება, რომელიც უნდა განხორციელდეს დარგის სპეციალისტის მიერ. შემდეგ უნდა გადამოწმდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ (შეფასების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობა თემატიკასთან) .

გამოიკვეთა ძირითადი რეკომენდაციები:

- საგამოცდო (შუალედური და დასკვნითი) საკითხებზე შეკითხვები არ უნდა იყოს ბუნდოვანი და დამაბნეველიც სტუდენტისთვის. შეკითხვა უნდა იყოს მკაფიო და სწორად დასმული;
- მნიშვნელოვანია შეფასების საბოლოო ქულასთან დაკავშირებით პედაგოგი იძლეოდეს განმარტებას უკუკავშირისათვის.
- ღია კითხვები ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ იძლეოდეს საკითხის ირგვლივ საფუძვლიანი ცოდნის გამომჟღავნების საშუალებას;
- სასურველია საგამოცდო საკითხები იყოს კომპლექსურად (საკითხის ცოდნა-პრაქტიკული უნარი-ანალიზი-შედარება) შედგენილი;
- სასურველია საკითხებში თემატიკის სპეციფიკის გათვალისწინებით აქცენტები გაკეთდეს პრაქტიკული უნარების გამოვლინებაზე;
- სასურველია შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასებებში ტესტირების (დახურული კითხვები) ხვედრითი წილი იყოს შემცირებული;
- მიეცეს მითითებები პედაგოგებს საკითხები (ბილეთები) შუალედურ და დასკვნით გამოცდებამდე მინიმუმ 3 კვირით ადრე წარუდგინონ პროგრამის ხელმძღვანელებს, რათა მათ გადაამოწმონ საკითხებისა და თემატიკის თანხვედრა და აღმოიფხვრას მარტივი და არა რელევანტური საკითხების საგამოცდო ბილეთებში შეტანა;
- აუცილებელია რამდენიმე პედაგოგთან შეხვედრა ინდივიდუალურ რეჟიმში, რაც უნდა უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა;
- რეკომენდირებულია სამუშაო შეხვედრების ჩატარება მიმართულებების მიხედვით, რათა პერსონალმა იცოდეს შეფასების სისტემაში არსებული ძირითადი ნაკლოვანებების შესახებ.

უნივერსიტეტის ხარისხის შიდა სამსახურის მიერ სამომავლოდ დასახული რეკომენდაციების შესაბამისი აქტივობები არის მათ ყოველდღიურ პრაქტიკაზე დაფუძნებული და ემსახურება სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. თუმცა, ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული ის რეკომენდაციებიც სტანდარტის კომპონენტის მიმართ დაფიქსირებულია დასკვნაში.

უნივერსიტეტის მიერ დამატებით წარმოდგენილი იქნა 11 დასკანერებული ნაშრომი, ნაწილი იყო ტესტური, ***ნაბეჭდი ფორმით*** (საერთაშორისო ბიზნესის, ბიზნეს კომუნიკაცია და მენეჯმენტი, მარკეტინგის საფუძვლები, ბუღალტრული აღრიცხვის, დარგობრივი ინგლისურის შუალედური ნაშრომი), ტურიზმის ეკონომიკასა და ფილოსოფიაში ნაშრომები იყო ***ხელნაწერი კითხვა პასუხებით*** და ბოლოს სტუდენტის ხელმოწერით. წარმოდგენილი იქნა ***პრეზენტაციები:*** კომუნიკაციის უნარებსა და კომპიუტერულ უნარებში. ***ორი ვიდეო*** ოპერატორის ხელოვნებასა და მეტყველებაში.

გამოყენებული ტესტები მოიცავდა სილაბუსით გათვალისწინებულ საკითხებს. როგორც სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გაირკვა სტუდენტებს წინასწარ მიეწოდებოდათ ინფორმაცია გამოცდის ჩატარების შესახებ, ასევე მათ ეძლეოდათ საშუალება გამოცდა ჩაებარებინათ მათთვის სასურველ დროს (ინტერნეტთან წვდომის გათვალისწინებით). ზოგ შემთხვევაში კომპიუტერთან წვდომის პრობლემის გამო სტუდენტები თავის საგამოცდო ნაშრომს უგზავნიდნენ ხელნაწერის სახით.(ასეთ შემთხვევებში მობილურით გადაღებული ეგზავნებოდათ). ადგილზე გავეცანით ვიდეო გამოცდას მეტყველებაში, სადაც სტუდენტს გამომცდელი აძლევდა საკითხებთან დაკავშირებულ შესაბამის განმარტებებს.

მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის სამსახური თავის მუშაობაში ითვალისწინებს PDCA პრინციპს და პირველი მონიტორინგიდან მხოლოდ 6 თვის შემდეგ გახდა შესაძლებელი დაეგეგმათ ცვლილებები, რაც წარმოადგენს წინგადადგმულ ნაბიჯს იმ მოტივაციასთან ერთად , რაც გამოიკვეთა ინტერვიუს დროს როგორც ინსტიტუციის ხელმძღვანელობის ასევე პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრების დროს. თუმცა, ამჯერად უნივერსიტეტი არის ხარიხის გაუმჯობესების დაგეგმვის ნაწილზე და ფაქტობრივი შედეგების შეფასება ამ ეტაპზე არ არის შესაძლებელი. ხარისხის მუშაობის სამსახურს ეფექტურს გახდის PDCA ციკლის ყველა ეტაპზე ანგარიშების მომზადება და განხილვა საუნივერსიტეტო, შიდა ხარისხის გაუმჯობესებისათვის. უკუკავშირის დამყარება აკადემიურ და მოწვეულ პედაგოგებთან და სტუდენტებთან.

ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად, დაწესებულებას უნდა უზრუნველეყო თავის მიერ შემუშავებული და დაინტერესებული მხარეების მიერ გაზიარებული შეფასების პროცედურების დაცვა (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, გამოცდების ჩატარების წესი, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული შეფასების კომპონენტები და ფორმები).

უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დაგეგმვა მიმდინარეობს „სასწავლო პროცესიის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად. სადაც (მეათე მუხლში) მითითებულია, რომ „საბაკალავრო პროგრამებზე სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედურ შეფასებას ეთმობა არანაკლებ 60, ხოლო დასკვნით შეფასებას არანაკლებ 30 ქულა. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება არანაკლებ 41 ქულა“. შეფასების აღნიშნული განაწილება ბუნდოვანია, თუმცა ინტერვიუს დროს დამატებით მივიღეთ განმარტება, რომ „არანაკლებ 60“ და ,,არანაკლებ 30“, არ გულისხმობს ორივე კომპონენტის ერთდროულად დაშვებას. ეს მითითება ცალკეული კომპონენტებისათვის არის მოცემული, იმის გათვალისწინებით, რომ ჯამურად შეადგინოს 100 ქულა.

ქულათა განაწილების აღნიშნული წესი მოითხოვს დამატებით განმარტებას და არც სტუდენტებისათვის არ არის გასაგები; ამიტომაც საჭიროებს გადახედვას და გამარტივებას. ჩანაწერები მარეგულირებელ დოკუმენტში არ უნდა იყოს ბუნდოვანი და არ უნდა იძლეოდეს ორგვარად გაგების საშუალებას.

სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია დასკვნით გამოცდაზე დადგენილ ქულათა 40%-ზე ნაკლების მიღება. დასკვნითი და შესაბამისი დამატებითი გამოცდის ჩატარების ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს, ასეთ შემთხვევაში გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ თითოეულ კომპონენტში სტუდენტი მიიღებს ამ კომპონენტისათვის (წერა/ზეპირი) დადგენილ ქულათა არანაკლებ 40%-ს.

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად“, შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს „სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების მეთოდოლოგია აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, სიმულაციები და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე“.

თუმცა, სტუდენტებთან შეხვედრების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები არ იყვნენ სრულყოფილად ინფორმირებულები მათი ცოდნისა და კომპეტენციის შეფასების ყველა მეთოდის შესახებ.

გაზაფხულის სემესტრში ინსტიტუციაში სასწავლო პროცესი ელექტრონული ფორმით მიმდინარეობდა. შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმმა შეიმუშავა ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი და ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლების განხორციელების კონცეფცია და ადმინისტრირების წესი.

გამოყენებული იქნა სინქრონული და ასინქრონლი კომუნიკაციის ფორმები, ძირითადად გამოყენებული იქნა zoom -ის ონლაინ პლატფორმა. სწავლა-სწავლების მეთოდთა შორის ელექტრონული რესურსებით სწავლა-სწავლების სავალდებულო წესით ჩართვამ აუცილებელი გახადა გარკვეული ცვლილებები კურიკულუმის დაგეგმვაში, სასწავლო კურსების შესაბამისი

აქტივობებისა და შეფასების ფორმებში. არსებული არაპროგნოზირებადი მდგომარეობის გათვალისწინებით განისაზღვრა გამარტივებული, ყველა სასწავლო კურსისთვის ადვილადმოსარგები და გასაგები შეფასების სისტემა (40% + 60%).

ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ შეფასების ეს ფორმატი საშუალებას აძლევს სტუდენტს გამოცდისთვის დამოუკიდებლად მოემზადოს. თუ მიმდინარე სასწავლო პროცესში მის აკადემიურ მოსწრებაზე გავლენა იქონია დისტანციური სწავლების თანმდევმა უარყოფითმა ფაქტორებმა, (როგორიცაა ინტერნეტთან არასათანადო ხელმისაწვდომობა, ინტერნეტის წყვეტა, ცუდი სმენადობა და სხვა), სტუდენტის საბოლოო შეფასებაში გამოცდის კომპონენტის მაღალი ქულა (60%) მას მეტ მოტივაციას აძლევს, რათა მაღალი საბოლოო შეფასების მისაღებად.

მარეგულირებელ დოკუმენტში მითითებულია, რომ ნებისმიერ სასწავლო კურსს დაუწესდეს მხოლოდ ერთი შუალედური გამოცდა(არაცენტრალიზებული), რომლის ფორმასაც, კურსის შინაარსიდან გამომდინარე, ადგენს ლექტორი და რომელიც სწავლის დაწყებიდან მე-8 -მე-9 კვირაში ჩატარდება. დასკვნით გამოცდამდე სტუდენტის მიერ დასაგროვებელი ქულების მაქსიმუმი განისაზღვროს 40 ქულით, საიდანაც სემინარებზე /სამუშაო ჯგუფებში/ პრაქტიკულ მეცადინეობებზე სემესტრული აქტივობა შეფასდეს 25 ქულით (ეს აქტივობა კურსის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს შეფასებული კვირეული გამოკითხვით, საშინაო დავალებებით, რეფერატით, პრეზენტაციით და ა.შ.) ; შუალედური გამოცდის შეფასება განისაზღვროს 15 ქულით; (დასკვნით გამოცდაზე დაიშვას სტუდენტი, რომელიც სემესტრული შეფასებების 40 ქულიდან დააგროვებს მინიმუმ 11 ქულას).

დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მათთვის ცნობილია ზემოაღნიშნული რეგულაციის შესახებ და ქულების მინიმალურ ზღვარზე რა შემთხვევაშიც შესაძლებელია სტუდენტის გამოცდაზე დაშვება.

დასკვნითი გამოცდის შეფასება განისაზღვრება 60 ქულით. (დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვალოს, თუ სტუდენტი დააგროვებს 60-დან 25 ქულას). ნებისმიერი სასწავლო კურსის დასკვნითი გამოცდისათვის, გარდა არსებული ფორმისა, დასაშვებად იქნეს მიჩნეული, როგორც მხოლოდ ზეპირი (ონლაინ), ასევე კომბინირებული გამოცდის (წერა და ზეპირი) ჩატარება საგნის ლექტორის გადაწყვეტილებით (ზეპირი გამოცდის პროცესის ჩაწერა მოხდება ონლაინ პლატფორმა zoom-ის მეშვეობით). როგორც ადგილზე გაირკვა დასკვნითი გამოცდის ტესტების მოცულობა გაიზარდა, დაემატა კითხვები.

მონიტორინგის დროს ადგილზე ნანახი იქნა სხვადასხვა პროგრამებისათვის მომზადებული ვიდეოლექციები 5-6 ვიდეოლექცია თითოეულ საგანში ლექტორების გვარების მიხედვით, რომლიც ატვირთული იყო ვებ გვერდზე და პაროლით იყო ხელმისაწვდომი.

ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ინსტიტუციას შემუშავებული აქვს ლექციების აუდიო/ვიდეო ჩანაწერებისა და ონლაინ სასწავლო შეხვედრების ამსახველი ვიდეო/აუდიო/ფოტო მასალის, მათ შორის, ე.წ. „სქრინშოთი" დაცვის წესი. ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს და ეს გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის მიერ მათი მოსმენისას და შენახვისას.

სტუდენტებთან კომუნიკაცია და მათი ინფორმირება ხდებოდა რექტორის ბრძანების (10.02.2020) შესაბამისად, „პერსონალს, დამსაქმებელს, კურსდამთავრებულს და სტუდენტებს მიეწოდებათ

ძირითადად ვებ-გვერდის, ელ-ფოსტის, სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით და სოციალური ქსელის გამოყენებით“.

ფაკულტეტის დეკანთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ შეფასების წესები და ფორმატი მათვის ცნობილია და დისტანციური სწვალის პირობებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ასევე ქონდათ ინფორმაცია. ხოლო შეხვედრაში მონაწილეობდა ის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალი, რომელიც ფლობდა აღნიშნულ ინფორმაციას დისტანციური სწავლების პირობებში შეფასების სისტემის შესახებ, თუმცა გაზაფხულის სემესტრში მათ აქტივობები არ განუხორციელებიათ (ვინაიდან ისინი წარმოადგენდნენ ახალი პროგრამების წარმომადგენლებს).

ექსპერტთა რეკომენდაციას წარმოადგენდა: “შეფასებისა და აპელაციის წესები უნდა ყოფილიყო ქმედითი და გამოყენებადი“

“სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით” განისაზღვრება გასაჩივრების პროცედურებიც. შუალედური/დასკვნითი ძირითადი და დამატებით გამოცდების შედეგების აპელაციის მიზნით, რექტორის აქტით მტკიცდება მუდმივმოქმედი სააპელაციო კომისია. ხოლო „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციაში“ მუხლი 6 . საგამოცდო ნაშრომის გაცნობა და გასაჩივრება- ჩამოყალიბებულია გასაჩივრების პროცედურები. „სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის გამოქვეყნებიდან 2 დღის ვადაში მიმართოს დაწესებულებას განცხადებით და მოითხოვოს საგამოცდო ნაშრომის (შუალედური, დასკვნითი, დამატებითი საგამოცდო ნაშრომი) გაცნობა და შედეგების გადასინჯვა. ფაკულტეტი ვალდებულია უზრუნველყოს განცხადების/საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში სტუდენტისთვის მოთხოვნილი ნაშრომის გაცნობა. ფაკულტეტი ვალდებულია იმ სტუდენტების ნაშრომების ქსეროასლები, რომლებიც არ ეთანხმებიან გამოცდაზე მიღებულ შეფასებას და მოითხოვენ შედეგების გადასინჯვას, სტუდენტისთვის ნაშრომის გაცნობიდან ერთი სამუშაო დღის, ან გასაჩივრების ვადის ამოწურვიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში განსახილველად გადასცეს სააპელაციო კომისიას, რომელიც თავის მხრივ 2 სამუშაო დღის ვადაში ვალდებულია მიაწოდოს ფაკულტეტს აპელაციის დასკვნა. პროცედურის დასრულების შემდეგ ნაშრომის ასლი, აპელაციის დასკვნასთან ერთად უბრუნდება ფაკულტეტს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს მის მიწოდებას სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში შედეგების ასახვაზე პასუხისმგებელ პირს“.

მონიტორინგის განმავლობაში როგორც ფაკულტეტის დეკანთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ, ასევე სტუდენტებთან ინტერვიუმ გამოავლინა, რომ იცნობდნენ გასაჩივრების პროცედურებს, თუმცა მხოლოდ 2 შემთხვევას აფიქსირებდნენ, რომელიც ეხებოდა ელექტრონულ სისტემაში არსებულ შეცდომას, (ქულა იქნა არასწორად შეყვანილი), რომელიც დროულად იქნა აღმოფხვრილი.

ექსპერტთა რეკომენდაციას წარმოადგენდა: "სასწავლო კურსის სილაბუსები უნდა იყოს შემუშავებული მათი განმახორციელებლების მიერ და მითითებული რეკვიზიტები უნდა აძლევდნენ სტუდენტებს უკუკავშირის შესაძლებლობას"

აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ "ნიუ უნივერსითის" და ქართულ -ევროპული უნივერსიტეტის შერწყმის შედეგად, აკრედიტებული პროგრამები გადმოტანილი იქნა " მილენიუმის" სასწავლო უნივერსიტეტში. ზოგი აკადემიური პერსონალი და პროგრამის ავტორი ქართულ ევროპული უნივერსიტეტიდან გადმოვიდა "მილენიუმის" უნივერსიტეტში. ხოლო ზოგ შემთხვევაში განხორციელდა ცვლილება. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, პროგრამის შემქმნელი და განმახორციელებელი არის სხვადასხვა პიროვნება. აღნიშნული ინფორმაცია მივიღეთ პროგრამის დირექტორებთან გასაუბრებისას.

საერთაშორისო ბიზნესის სილაბუსის შემოწმების დროს გამოვლინდა, რომ სასწავლო კურსში მითითებული ლექტორის სახელი და გვარი არ ემთხვეოდა რეალურად განმახორციელებელ პირს.

შესაბამისად, ინსტიტუციამ უნდა მოახდინოს სილაბუსების დეტალური გადახედვა, რაც წინა მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით იყო გათვალისწინებული და ასევე მეორდება ინსტიტუციის ხარისხის სამსხურის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებშიც, რაც ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა ვიზიტის ფარგლებში.

ექსპერტთა რეკომენდაციას წარმოადგენდა: "ხარისხის სამსახურის ფუნქცია შეფასებებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით შეფასების სილაბუსის მოთხოვნებთან შესაბამისობის ასპექტით, უნდა იყოს ქმედითი და არა ფორმალური"

ამ საკითხთან დაკავშირებით უსდ-ს ხარისხის სამსხურის მიერ განხორციელდა აქტივობა და შემუშავებულია სათანადო რეკომენდაციები, რომელიც ზემოთ არის მითითებული. ცვლილებების განხორციელება იწყება პრობლემათა აღიარებითა და სხვადასხვა სახის ღონისძიებათა დაგეგმვით. გათვალისწინებული იქნა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები. ხარისხის სამსახურის მიერ დაიგეგმა ცვლილებების განხორციელება სილაბუსებში. კერძოდ კი შუალედური და დასკვნითი საგამოცდო საკითხების შედარებამ სილაბუსების თემატიკასთან გამოავლინა ტესტების გადახედვის და მასში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა. კონკრეტულად კი უნდა მოხდეს ტესტური შეკითხვების გამართვა და მკაფიოდ ჩამოყალიბება, რათა ითვალისწინებდეს ცოდნის, ანალიტიკური და პრაქტიკული უნარების შეფასების კომპონენტებს. ძირითადად გამოყენებული იქნეს ღია ტიპის შეკითხვები. სტუდენტებს უნდა ეძლეოდეთ სათანადო განმარტებები საგნის საბოლოო შეფასებასთან დაკავშირებით.

უსდ-ს ხარისხის სამსხური მიიჩნევს, რომ სასწავლო პროგრამების განმახორციელებლებთან ინდივიდუალური შეხვედრები და სამუშაო შეხვედრები მიმართულებების მიხედვით განაპირობებენ ძირითადი ნაკლოვანებების აღმოფხვრას.

ექსპერტთა რეკომენდაციას წარმოადგენდა: " გამოცდის შედეგები მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, გონივრული ვადით, უნდა იყოს შენახული"

წინა მონიტორინგის რეკომენდაციების შესაბამისად, უსდ-ს მიერ შემუშავებულ "გამოცდების ჩატარების ინსტრუქციაში განხორციელდა შესაბამისი ცვლილება , მეხუთე მუხლში" საგამოცდო ნაშრომის გასწორება" დაემატა მეორე პუნქტი "ფაკულტეტი ვალდებულია საგამოცდო ნაშრომები შეინახოს 3 წლის ვადით".

დამატებით ინსტიტუციის მიერ მოწოდებული იქნა 11 დასკანერებული ნაშრომი, ნაწილი იყო ტესტური, ***ნაბეჭდი ფორმით*** (საერთაშორისო ბიზნესის, ბიზნეს კომუნიკაცია და მენეჯმენტი, მარკეტინგის საფუძვლები, ბუღალტრული აღრიცხვის, დარგობრივი ინგლისურის შუალედური ნაშრომი), ტურიზმის ეკონომიკასა და ფილოსოფიაში ნაშრომები იყო ***ხელნაწერი კითხვა პასუხებით*** და ბოლოს სტუდენტის ხელმოწერით. წარმოდგენილი იქნა ***პრეზენტაციები:*** კომუნიკაციის უნარებსა და კომპიუტერულ უნარებში. ***ორი ვიდეო*** ოპერატორის ხელოვნებასა და მეტყველებაში. აღნიშნული ნაშრომები შესრულებულია ივნის-ივლისში. ნაშრომის ბოლოს არის სტუდენტის ხელმოწერა.

ქართული ენის აკრედიტებული პროგრამის შესახებ:

ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დასმულ კითხვებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს შემდეგი: ქართულ ენაში მომზადების პროგრამა პროგრამის კატალოგის მიხედვით 60 კრედიტიანია . (თუმცა პროგრამის დეტალურად გაცნობისას აღმოჩნდა, რომ პროგრამა რეალურად არის 55 კრედიტიანი).

მნიშვნელოვანია, ის გარემოება რაც წინ უსწრებდა პროგრამის აკრედიტაციას. თავდაპირველად ქართული ენის პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2014 წლის 25 ივნისს (ოქმი N131), იმ პერიოდში დამტკიცებული რეგულაციის მიხედვით პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 5 წლის ვადით.

რეაკრედიტაციისათვის განაცხადი შპს „ მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტმა" (ყოფილი შპს „ნიუ უნივერსითი" და „უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემია") 2019 წლის 11 ივლისს წარმოადგინა. პროგრამის აკრედიტაციისათვის დამტკიცებული პროცედურების შესაბამისად, პროგრამამ მიიღო პირობითი აკრედიტაცია 7 თვის ვადით 2020 წლის 12 ოქტომბრამდე. აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმშიhttps://eqe.ge/res/docs/N1806.03.2020.pdf

აღნიშნულია, რომ აკრედიტაციის სტანდარტებში N1, N3 და N5 მიიღო შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო სტანდარტი N2 და N4 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ასევე მითითებულია რომ პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტის ჩატარების შემდეგ, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულმა განმახორციელებელი პერსონალის ნაწილმა უარი განაცხადა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობაზე. ინტერვიუს დროს დადგინდა ,რომ დაწესებულებამ შემდგომ აიყვანა ახლი თანამშრომლები რომლებიც პროგრამას განახორციელებენ.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების ტესტის მშობლიურ ენაზე წარმატებით ჩაბარება; უცხოელი მოქალაქეები ჩაირიცხებიან უგამოცდოდ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში ყველა საგანი სავალდებულოა, საგნები დაყოფილია A და B ბლოკებად. ამასთან , A ბლოკის სასწავლო კურსები შედარებით დაბალი ენობრივი კომპეტენციების მქონე სტუდენტებისთვისაა გამიზნული და მეტ საკონტაქტო საათს მოიცავს (სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციების გათანაბრების / განსხვავებების მინიმიზაციისთვის პროგრამაში დამატებითი აქტივობებია გათვალისწინებული:

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია, სტუდენტებს ჩამოუყალიბოს ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლისა და სოციუმში ინტეგრირებისთვის საჭირო უნარები, შეუქმნის მათ სწავლისთვის თანაბარი შესაძლებლობები.

იმ პერიოდში როცა ქართულ ენაში მომზადების პროგრამას აკრედიტაციას ვადა გაუვიდა (2019 წლის 25 ივნისი), შეიქმნა ქართული ენის სასერთიფიკაციო პროგრამა, თუმცა აღნიშნული სასერთიფიკაციო პროგრამის დამთავრება არ იყო საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა. უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვის წესი განსაზღვრულია და მიმდინარეობს აბიტურიენტებთან ინტერვიუების მონიტორინგი, რომელიც იგზავნება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში და აღნიშნული ხდება ჩარიცხვის წინაპირობა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ვიდეო-ინტერვიუს ჩანაწერი არ იყო მითითებული ბმულის სახით.

ინსტიტუციის საბაკალავრო საფეხურის აკადემიური პროგრამების წარმატებით გასავლელად სტუდენტებს ესაჭიროებათ სწავლების ენის ცოდნა საერთო ევროპული ჩარჩო-დოკუმენტის მიხედვით B2 დონეზე. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებია ქართულ ენაზე წაკითხვა, მოსმენა და გაგება, ქართულ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის დამყარება.

ინსტიტუციამ დამატებით წარმოადგინა ქართული ენის ტესტების ნიმუშები. გავეცანით ქართული ენის ტესტის შემადგენლობას: *კითხვისა და წერის* კომპონენტის შეფასება ხდება ტექსტის მიწოდებით და ტექსტთან დაკავშირებული შეკითხვებით, რასაც მოყვება ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა და ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები; მართლწერა და ორთოგრაფია, ყველა კომპონენტი სათანადო ქულით ფასდება. ქართული ენის ტესტის *საუბრისა და მოსმენის* კომპონენტი შემდეგნაირად ფასდება: ტექსტი ქართულ ენაზე, რასაც მოყვება ტექსტის ირგვლივ შეკითხვები; ტექსტის მოკლე შინაარსის გადმოცემა; ინფორმაციის მოწოდება საკუთარი თავის შესახებ. საუბრის (მეტყველების) კომპონენტი 2 საკითხს მოიცავს (5-5 ქულით); პირველი საკითხი მოსმენის კომპონენტის გაგრძელებაა; მეორე საკითხი - სტუდენტის ინდივიდუალური, ერთჯერადი სამეტყველო აქტი. ორივე კომპონენტი ჯამურად ფასდება 10 ქულით.

ენის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - მიმდინარე, შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუქაზე წარმოდგენილია ზოგადი და სპეციფიური მიზანი. სტუდენტთა სწავლის შედეგის მიღწევის სამიზნე ნიშნულის მინიმალური ბარიერი განსაზღვრულია 60 % ით .

მონიტორინგის დროს ადგილზე სტუდენტთა შესრულებული ნაშრომების ნახვა ვერ მოხერხდა, ვინაიდან ძველი რეგულაციის შესაბამისად, ნაშრომების უნივერსიტეტში შენახვა არ ხდებოდა, ხოლო მას შემდეგ რაც ცვლილებები შევიდა გამოცდის ჩატარების ინსტრუქციაში სტუდენტთა

ნაშრომების შენახვის შესახებ, ახალი მიღება არ ქონიათ ქართული ენის აკრედიტებულ პროგრამაზე. თუმცა რეესტრის მონაცემების მიხედვით ერთი სტუდენტი ქართული ენის სასერთიფიკაციო პროგრამაზე ჩარიცხულია 2020 წლის 24 ივლისს.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ მითითებულია ინფორმაცია „პროგრამით გათვალისწინებული მიზნების შესასრულებლად უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილია შესაბამისი თანხა, რომელიც მოხმარდება პროგრამისთვის საჭირო ლიტერატურით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შევსებას, სტუდენტთა სხვადასხვა ტიპის აქტივობებს და სხვ.“. თუმცა კონკრეტულად რა თანხას შეადგენს , ან უნივერსიტეტის ბიუჯეტის რა ნაწილი მოხმარდება ეს არ არის დაფიქსირებული, არც პროგრამაში და არც უნივერსიტეტის ბიუჯეტში.

უნივერსიტეტის მიერ დამატებით მოწოდებულ დოკუმენტში სასწავლო პროცესის მონიტორინგის შესახებ მითითებულია რომ ქართული ენის აკრედიტებულ პროგრამაზე 2018-2019 წლის პირველ სემესტრში მიღებული იქნა 50 სტუდენტი, მათ როგორც შემოდგომის სემესტრში, ასევე გაზაფხულის სემესტრში მიიღეს დადებითი შეფასება და მოსწრება იყო 100% -იანი. ხოლო 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ჩაირიცხა დამატებით 75 სტუდენტი, მათგან დადებითი შეფასება გაზაფხულის სემესტრში მიიღო მხოლოდ 65 სტუდენტმა. (86,7%).

უნივერსიტეტში ინტერვიუ ჩატარდა იმ სტუდენტებთან, ვისაც გაუჭირდა ქართული ენის სწავლა და შეიჩერა სტატუსი. ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც , რომ 2019 წლის დეკემბერში 02/98 ბრძანების საფუძველზე 97 სტუდენტს შეუჩერდათ სტუდენტის სტატუსი, ენის ბარიერის არსებობის გამო. სწავლის შეჩერება მოხდა სწავლების მესამე სემესტრში.

ამჯერად, ქართული ენის აკრედიტებულ პროგრამაზე ჩარიცხულია 51 სტუდენტი, აქედან 50 სტუდენტი ჩარიცხულია 2018-2019 წლებში, ვიდრე პროგრამას ქონდა აკრედიტაციის ვადა. ამჟამად მათი სტუდენტის სტატუსი გააქტიურებულია, თუმცა ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა სწავლის დაწყება დაგეგმილია **მომავალი სასწავლო წლიდან**. არსებული ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე ბუნდოვანია დაწესებულების მხრიდან სტუდენტების აქტიური სტატუსი შენარჩუნება 2018 და 2019 წლებში ჩარიცხული სტუდენტებისთვის, მაშინ როდესაც დაწესებულებას სასწავლო პროცესის განახლება დაგეგმილი აქვს 2020 წლის სექტემბერში, (აქვთ აქტიური სტუდენტის სტატუსი, ისე რომ არ მონაწილეობენ სასწავლო პროცესი). ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლის შემთხვევაში, პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს სტატუსი უჩერდებათ და მათ სურვილის შემთხვევაში უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ მობილობის პროცესში. ამ შემთხვევაში 50 სტუდენტი (ჩარიცხული 2018-2019 წლებში სხვდასხვა დროს) და ერთი 2020 წლის ივნისში რეესტრში ფიქსირდება როგორც აქტიური სტუდენტი.

უსდ-ს მიერ მოწოდებული იქნა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მონაცემები. პროგრამების მიხედვით - მენეჯმენტში აკადემიური მოსწრება გაიზარდა 2016 წლიდან 2018 წლამდე 39%-დან 61% -მდე, ასევე საერთაშორისო ურთიერთობებში 60 %-დან 80,7%- მდე, ხოლო სამართლის პროგრამაზე 45%-დან 61,3 %-მდე. ხოლო 2018-2019 სასწავლო წლის განმავლობაში აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები არა გეგმაზომიერად იცვლებოდა. სამართალში ჯერ შემცირდა 53,4 5%-მდე, ხოლო

მეორე სემესტრში კვლავ გაიზარდა 62%-მდე; ასეთივე ტენდენციები დაფიქსირდა საერთაშორისო სამართლის პროგრამაზე (ჯერ შემცირდა 56%-მდე , ხოლო შემდეგ კვლავ გაიზარდა 75%-მდე). წარმოდგენილი მონაცემების ანალიზი გათვალისწინებული იქნა უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სამომავლოდ განსახორციელებელი აქტივობების განსაზღვრისათვის, როგორიცაა საგამოცდო (შუალედური და დასკვნითი) საკითხებზე შეკითხვები არ უნდა იყოს ბუნდოვანი და დამაბნეველიც სტუდენტისთვის. შეკითხვა უნდა იყოს მკაფიო და სწორად დასმული, გაიზარდოს პრაქტიკული ნაწილის შეფასების კომპონენტი ;

უსდ-ს მიერ რეკომენდაციების განსახორციელებლად მიცემული 60 დღიანი ვადის განმავლობაში, განხორციელდა წინა მონიტორინგის რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით ცვლილებები, მათ შორის 3.3 სტანდარტის კომპონენტთან მიმართებაშიც. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც , რომ დაწესებულებას რეკომენდაციების შესასრულებლად მიცემული პერიოდი დაემთხვა პანდემიას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კომპონენტების შედეგების სრულად დემონსტრირება ვერ მოხერხდა.

თუმცა, ამ ეტაპზე ქვესტანდარტის შეფასება შესაძლებელია გაუმჯობესდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის, გასაუბრებების და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია
- ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლების განხორციელების კონცეფცია და ადმინისტრირების წესი
- დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტები -ტესტები ქართულ ენაში
- უსდ-ს ხარისხის სამსახურის შეხვედრის N1 ოქმი
- სტუდენტთა შეფასებების მონიტორინგი
- ვიდეო ჩანაწერები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- უზრუნველყონ ხარისხის გაუმჯობესების შიდა მექანიზმების დანერგვა PDCA ციკლის ყველა ეტაპზე ანგარიშების მომზადების და პერიოდული განხილვის გზით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან შეხვედრების გზით;
- დაიხვეწოს და გაფართოვდეს სასწავლო პროგრამების მიხედვით საგამოცდო ტესტები;
- სასწავლო კურსის სილაბუსები უნდა იყოს შემუშავებული მათი განმახორციელებლების მიერ და მითითებული რეკვიზიტები უნდა აძლევდნენ სტუდენტებს უკუკავშირის შესაძლებლობას;
- „ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში „ მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბდეს ქულათა განაწილების წესი სტუდენტის საბოლოო (100 ქულით) შეფასებისას ;

- უზრუნველყოფილი იქნეს სტუდენტებისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება სწავლის შედეგების შეფასების ყველა მეთოდის შესახებ სასწავლო კურსის დაწყებისთანავე;
- გამოცდის შედეგები მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, გონივრული ვადით, უნდა იყოს შენახული;
- დაწესებულებამ გამჭირვალე გახადოს ქართული ენის აკრედიტებულ პროგრამაზე ჩარიცხვის, სტუდენტის სტატუსის და სტუდენტთა სწავლის შედეგების მონიტორინგი.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტთა რეკომენდაციას წარმოადგენდა: „განახლდეს სასწავლო დაწესებულების ვებ-გვერდი და მასზე განთავსდეს „მილენიუმი სასწავლო უნივერსიტეტის“ მარეგულირებელი დოკუმენტები“

მონიტორინგის დროს შემოწმდა დაწესებულების ვებ-გვერდი. პირველი ვიზიტის დროს გამოვლენილი რეკომენდაციის შემდეგ უსდ-მ სრულიად განაახლა ვებ-გვერდის როგორც ვიზუალური მხარე, ასევე ტექსტობრივი ნაწილი. მისი შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულება ყველგან მოხსენიებულია უკვე როგორც “ უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმი”, მასზე განთავსებულია მისია, მიზანი, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული განვითარების 7

წლიანი და სამოქმედო 3 წლიანი გეგმები, ჩანართში "იურიდიული ცნობარი" - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები, გვერდები სტუდენტებისათვის და აბიტურიენტებისათვის. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქართულენოვან ნაწილში ერთ-ერთ პროგრამაში ისევ დარჩენილია ჩვენი ფაკულტეტის სახელი, მაშინ როდესაც უსდ-ს გააჩნია მხოლოდ ერთი, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ასევე ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ნაწილი საჭიროებს დახვეწას რადგან არ იხსნება სტუდენტის გვერდზე არსებული არცერთი ბმული და არ არის ატვირთული არცერთი მარეგულირებელი დოკუმენტი ინგლისურ ენაზე (მაშინ როდესაც უსდ-ს ინგლისურენოვან პროგრამაზე ჰყავს ისეთი სტუდენტები რომლებსაც ქართული ენის ცოდნა არ მოეთხოვებათ).

ვებ-გვერდის დათვალიერების დროს ასევე დაფიქსირდა, რომ დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს ერთ-ერთი დამსაქმებელი უსდში იკავებდა საკმაოდ მაღალ ადმინისტრაციულ თანამდებობას.

ექსპერტთა რეკომენდაციას წარმოადგენდა: „მიეცეთ სტუდენტებს საშუალება გადაიხადონ სწავლის საფასური კრედიტების/საგნების შესაბამისად"

ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ უსდ სტუდენტებს ახდევინებს მთლიანი სემესტრის გადასახადს მიუხედავად იმისა თუ რამდენი კრედიტს იღებს სტუდენტი. 4 წლის გასვლის შემდეგ თუკი სტუდენტს არ უფიქსირდება 240 კრედიტი, მათი დამატების შემთხვევაში უკვე იხდის შესაბამისი კრედიტების ღირებულებას. ასევე თუ 4 წლის განმავლობაში სტუდენტი დამატებით იღებს კრედიტებს/ სასწავლო კურსს მათი საფასურის დამატება ხდება სემესტრის ღირებულებაზე. აღნიშნული გადახდის სიტემა არ არის სტუდენტების ინტერესებზე ორიენტირებული რადგან თუ სტუდენტი არ იღებს 30 კრედიტს და იხდის მთლიანი სემესტრის ღირებულებას გამოდის, რომ ის იღებს შესაბამისი საფასურის „მომსახურებას" უსდ-სგან.

ექსპერტთა რეკომენდაციას წარმოადგენდა: „ქართულენოვან პროგრამებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის დაწესდეს ქართული ენის კომპეტენციის შესამოწმებელი გამოცდა"

აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ ქართულ ენოვან პროგრამებზე ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქე და ეთნიკურად აზერბაიჯანელ სტუდენტებს აქვთ ძალიან დაბალი კომპეტენციები ქართულ ენაში. ამ გარემოების ძირითად მიზეზად ადმინისტრაციის მხრიდან დასახელდა 2019 წლის პროცესი რა დროსაც მოხდა ორი უსდ-ს, უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემია (შემდგომში შპს „ნიუ უნივერსითი") და შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის გაერთიანება მილენიუმის სასწავლო უნივერსიტეტის სახელით. ასევე აღინიშნა, რომ ქართულ ევროპული უნივერსიტეტიდან გადასულ სტუდენტებს არ ჩატარებიათ ენის კომპეტენციის გამოცდა, რადგან ისინი არ გადმოსულან მობილობის შედეგად მილენიუმის უნივერსიტეტში არამედ შერწყმის გამო ავტომატურად გახდნენ მისი სტუდენტები. მაშინ როდესაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 12.07.2019 #10 საბჭოს ოქმში ვკითხულობთ, რომ უსდ-მ საბჭოს თავმჯდომარისგან მიიღო რჩევა შეემუშავებინათ ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა აზერბაიჯანელი სტუდენტების მომზადებას ქართულ ენაში და ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამებზე სწავლებას.

ასევე ინტერვიუები ჩატარდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ში ინტერვიუზე მოხერხდა მხოლოდ 3 სტუდენტთან გასაუბრება. ხოლო დანარჩენი ინტერვიუები ჩატარდა Zoom-ის ან სატელეფონო ზარის საშუალებით (რა დროსაც პიროვნების

იდენტიფიცირება ვერ ხერხდებოდა). ვიდეო ზარით გასაუბრებისას შეკითხვების დასმა ხდებოდა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მათი მხრიდან ექსპერტები ვერ ღებულობდნენ ადექვატურ პასუხებს. ასევე დაფიქსირდა მნიშვნელოვანი ფაქტი - ერთ-ერთ სტატუსშეჩერებულმა სტუდენტმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ მესამე სასწავლო წელს შეიჩერა სტატუსი იმის გამო, რომ ვერ დაძლია პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები ქართული ენის არასათანადო დონეზე ცოდნის გამო. ამ სტუდენტის პირადი საქმის გაცნობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ იგი ჩარიცხული იყო არა უსდ-ების გაერთიანების შემდეგ არამედ ჩარიცხული იყო შპს "უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემია"-ში 2018 წლის 23 ნოემბერს ფინანსების ქართულ ენოვან პროგრამაზე მობილობის გზით შპს "თბილისის სასწავლო უნივერსიტეტიდან". 2018 წლიდან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განაგრძო სწავლება 2019 წლის 30 დეკემბრამდე. რა დროსაც 30 დეკემბრის 02/98 ბრძანების საფუძველზე 97 სტუდენტს შეუჩერდათ სტუდენტის სტატუსი, ენის ბარიერის არსებობის გამო. თუმცა გაურკვეველია როგორ ახერხებდა სწავლას 3 სემესტრის განმავლობაში და რატომ არ მოხდა მისი ენის კომპეტენციის შემოწმება მობილობის განხორციელებამდე.

ინტერვიუ ჩატარდა ასევე ინგლისურენოვანი პროგრამების სტუდენტებთანაც. იმ 3 სტუდენტიდან რომლებმაც მოახერხეს დაწესებულებაში ინტერვიუზე მოსვლა ერთ-ერთი სტუდენტს უდასტურდებოდა ინგლისური ენის ცოდნის მაღალი დონე, რაც დადასტურდა მასთან გასაუბრებისას, მაგრამ ყველა სხვა სტუდენტს, რომელთანაც გასაუბრება მიმდინარეობდა zoom ის მეშვეობით, უჭირდათ ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია ელემენტარულ სასაუბრო დონეზეც კი. შესაბამისად გაუგებარია თუ როგორ ახერხებენ ისინი ინგლისურენოვან პროგრამაზე სწავლას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვებ-გვერდი https://millennium.edu.ge/
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- დაიხვეწოს და შესაბამისობაში მოვიდეს ვებ-გვერდი ორივე ენაზე.
- მიეცეთ სტუდენტებს საშუალება გადაიხადონ სწავლის საფასური კრედიტების/საგნების შესაბამისად;
- ქართულ ენოვან პროგრამებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის დაწესდეს ქართული ენის კომპეტენციის შესამოწმებელი გამოცდა
- უცხოენოვან პროგრამებზე დაწესდეს შესაბამისი ენის კომპეტენციის შესამოწმებელი გამოცდა

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის მონიტორინგის ექსპერტთა რეკომენდაციების მიხედვით სტუდენტური თვითმმართველობა უნდა ყოფილიყო უფრო მეტად აქტიური და ცნობადი უსდ-ში.

მონიტორინგის დროს იმ სტუდენტებთან რომლებთანაც მოხერხდა ინტერვიუს ჩატარება და გასაუბრება აღნიშნეს, რომ იცნობდნენ თვითმმართველობის პრეზიდენტს და ჯგუფს. მათი თქმით სასწავლო პროცესში სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ტარდება სხვადასხვა ჯგუფური თუ ინდივიდუალური შემეცნებითი და გასართობი აქტივობა. ასევე სტუდენტური თვითმმართველობა სტუდენტებს ეხმარება ადმინისტრაციასთან სხვადასხვა სახის კომუნიკაციაში საჭიროების შემთხვევაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის დროს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით იკრიბებოდნენ სტუდენტები როკ ფესტივალზე მონაწილეობის მიზნით.

უსდ-ში შეიქმნა "სტუდენტთა სერვისების, კარიერული განვითარებისა და უწყვეტი განათლების სამსახური". ინტერვიუების დროს სამსახურის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ მისი ძირითადი ფუნქციებია სტუდენტების მხარდაჭერა კარიერული განვითარებისთვის. ასევე სხვადასხვა სტუდენტური აქტივობების ორგანიზება რომელიც მიმართულია სტუდენტური ცხოვრების გა მრავალფეროვნებისკენ. სამსახურს გააჩნია გაწერილი სამოქმედო გეგმა და ამ გეგმის შესაბამისად დაწყებულია კურსდამთავრებულების ბაზის ფორმირება, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ვიზიტის დროს ეს ბაზების ფორმირება დასრულებული არ იყო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები,
- კურსდამთავრებულთა ბაზა

რეკომენდაციები:

- რეგულარულად მოხდეს კურსდამთავრებულთა ბაზის სრულყოფა და მონაცემების ანალიზი

რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1						
2						
3						
4						
5						